# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ№167/ბ

ქ. თბილისი „05“ „დეკემბერი“ 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის დავით სერგეენკოს სახით, და მეორე მხრივ, შპს „ბი ემ სი გორგია“, მისი დირექტორის მინდობილი პირის ლევან გელაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა“ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტების შესყიდვაზე (CPV 24900000) და „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება მიაწოდოს „შემსყიდველს“ აღნიშნული საქონელი 112.70 (ასთორმეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

| საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ფასი |
|---|---|---|---|
| Moment 1, 50 მლ შ/ბ | 6 ცალი | 2.15 ლარი | 12.90 ლარი |
| Moment 1 50ml - წებო | 4 ცალი | 2.40 ლარი | 9.60 ლარი |
| Moment „სუპერ ეპოკსი“ 2 კომპ. 6მლ. | 2 ცალი | 2.80 ლარი | 5.60 ლარი |
| SEL1-4773 –სილიკონი selsil-universal 280ml. | 4 ცალი | 6.35 ლარი | 25.40 ლარი |
| ბიზონის საკონტაქტო წებო 650 მ/ლ | 2 ცალი | 16.60 ლარი | 33.20 ლარი |
| წყალემულსია DUROCRYL No.10993 0,75ლ. | 2 ცალი | 13.00 ლარი | 26.00 ლარი |
| | | | სულ: 112.70 ლარი |

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:
4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. ადგილი:
4.2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მისამართზე - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №140.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შემდგომ მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი №1) საფუძველზე, გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარულ დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი
არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მიხეილ ჟიჟილაშვილი.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა.

15.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 15 იანვრამდე.

17. დასკვნითი პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება “მიმწოდებელთან”, ორი – “შემსყიდველთან”.

„შემსყიდველი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
საიდენტიფიკაციო კოდი 211339957

დავით სერგეენკო
მინისტრი

„მიმწოდებელი“
შ.პ.ს. „ბი ემ სი გორგია”
ქ. ბათუმი, სოხუმის ქ.№10
ს/კ №245621288
სს თიბისი ბანკი, კოდი №TBCBGE22
ა/ა №GE62TB1007536020100008

ლევან ვერულაშვილი
დირექტორის მინდობილი პირი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

მ. თავთეთრიშვილი

მ. ტყეშელაშვილი

მ. ქიქილაშვილი

შემსრულებელი: ბ. შუშიაშვილი

დანართი 1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შესყიდული საქონლის
მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „ —— “ ————— 2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ------------

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი ------------------------------------------------------------
(ორგანიზაციის დასახელება)

------------------------------------------------------------------------------------------
(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ ----------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------

2017 წლის „ -------“ „ --------------- “ № -------- ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ------------------------------------------------------------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

------------------------------------------------ თვეში შესყიდული საქონლის ღირებულებამ
(თვის დასახელება)

შეადგინა ------------------------------------------------------------------------------------------
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია ------------------------------------------------------------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება ანაზღაურებულია ------------------------------------------------------------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი

ბ. ა.

ჩააბარა

1. ხელმძღვანელი
2. მთავარი ბუღალტერი

ბ. ა.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
68310948258517

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N170774865

რეგისტრაციის თარიღი
10.07.2017 წ

ნოტარიუსი: ხათუნა კალანდარიშვილი
მისამართი: ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა #12
ტელეფონი: 27-73-43

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

**ორი ათას ჩვიდმეტი წლის ათ ივლისს**, მე, ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქ.№12-ში, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **ხვიჩა პაპუნიძემ (დაბადებული 31.03.1971წ, პირადი #61006011559, მცხოვრები მისამართზე: ბათუმი ვ.გორგასალის ქ. N 149/151/153 ბ. 1)** . მან განაცხადა, რომ:
ა) არის შპს **"ბი ემ სი გორგია"**-ს (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო #245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. #10) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.
ბ) მის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებას ამ რწმუნებულებით სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **ლევან გელაშვილს (პ/ნ 57001013893); ხვიჩა პაპუნიძემ** მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.
მე შევამოწმე **ხვიჩა პაპუნიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. ასევე დავადგინე მისი უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:
1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს "ბი ემ სი გორგია"-ს შესახებ 2) შპს "GBM" (იგივე „ბი ემ სი ") –ის წესდება
მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

**რწმუნებულება**

შპს "ბი ემ სი გორგია"(ს/კ **245621288**), წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის (პ/ნ 61006011559) სახით, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი", **ლევან გელაშვილს** (დაბ: 24.10.1984წელს, პ/ნ 57001013893) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „რწმუნებული", ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმების დაცვით:

ა) დადოს მარწმუნებლის სახელით საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" განსაზღვრულ სუბიექტებთან მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 4 000 ლარს. დამოუკიდებლად განსაზღვროს ყველა ამ გარიგების დადებისას შინარსი, პირობები, ფასი, თანხა, ვადა და სხვა. შეიტანოს მათში ცვლილებები და დამატებები, გააუქმოს/შეწყვიტოს/მოშალოს ისინი. შეასრულოს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები და ისარგებლოს წარმოშობილი უფლებებით.

ბ) შეასრულოს სხვა მოქმედებები, რაც არ არის მითითებული პირდაპირ მაგრამ გამომდინარეობს წინა ქვეპუნქტში მითითებული უფლებამოსილებიდან და რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. რწმუნებულს არ აქვს უფლება აღნიშნული უფლებამოსილებანი სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს.

3. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

4. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ნებისმიერ დროს მარწმუნებლის მიერ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რწმუნებულს.

**გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ (29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება №507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 1. 80 ლარი, ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა.**

ხვიჩა პაპუნიძე

ნოტარიუსი: ------------------------------------------------------------------- ხ. კალანდარიშვილი

# ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი „05"  „დეკემბერი" 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „ბი ემ სი გორგია"-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

დ. სერგეენკო

ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

მ. ქიქილაშვილი

ბ. შუშიაშვილი